



ირანის ბირთვული პროგრამა ისევ ამოქმედდა

A3



"თქვენი აფხაზეთი"

A8



ავტომობილი

B2

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 11 იანვარი, 2006 წელი. №3 (1155)

ფასი 50 თეთრი

ახვები

სამოქალაქო საზოგადოების დამონტაჟი

სახალწლო დროსტარების შემდეგ აზრზე მოსული ხელისუფლება უმაღლეს, მთელი საზოგადოების თვალწინ, ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული დემოკრატიული სტრუქტურების დემონტაჟს ღიად და დაუფარავად შეუდგა.

A2

ახვები

რისი ბუნებრივი სიხვე და ტელევიზორები

გასულ კვირაში ცნობილი გახდა, რომ ტელევიზორები "მზის" აქციების 78 პროცენტი შეიძინა სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის მფლობელმა ქიბარ ხალვაშმა. რამ გამოიწვია ესოდენ სერიოზული ცვლილება ტელევიზორებში და რა გავლენას მოახდენს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებზე ეს სიახლე?

A2

სამართალი

პატიმართა ახლოობები გაერო-ს დასკვნას ელიან

პატიმრების მხარდასაჭერად გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილე მშობლები და საზოგადოების წარმომადგენლები პროტესტის ფორმაზე ვეღარ თანხმდებიან. პატიმართა ახლოობების ერთი ნაწილი პროტესტის უკიდურესი ფორმის - შიმშილობის გაგრძელებას მოითხოვს, ნაწილი კი აქციების მომხრეა.

A4

ახვები

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

აინფი

	11/01	12/01
თბილისი	-4	1
ტყიბული	1	7
სოხუმი	3	6
დავანისი	-12	-6
გორი	-5	1
ონი	-10	-3
ზაგდინი	7	10
ახმეტა	-2	2
სამტრედიო	6	9

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი

აშშ დოლარი	1.7975
ევრო	2.1755
ბრიტანული სტერლინგი	3.1755
რუბელი	0.0625

ახვები	A 2
ახვები	A 3
სამართალი	A 4
რეკლამა	A 5
საორბი	A 6
რეკლამა	A 7
პროექტი	A 8
ავტომობილი	B 2
ტენდერი	B 3 - B 7
სხვადასხვა	B 8

სადი აზრი და გაზის გეოპოლიტიკა

რუსული "საბაზრო ეკონომიკის" პირველი მსხვერპლი უკრაინის მთავრობა გახდა



ნიკა თარაგვილი

"გაზის ომის ასეთ დასასრულს უკრაინასა და რუსეთს შორის, ალბათ, არავინ ელოდა," - წერდა რამდენიმე დღის წინ რუსული გაზეთი "კომერსანტი" 4 იანვარს რუსეთ-უკრაინის შორის ხელმოწერილი შეთანხმების კომენტარებისას. ორმხრივი ხმახმა-ღლი მუქარებისა და კვიგეში,

ისევე როგორც ევროპული ქვეყნების ქალაქებში, შესამჩნევად ხანმოკლე "აცივების" შემდეგ, რუსეთმა სრულად აღადგინა გაზის მიწოდება. თანაც ისე, რომ ყველა მხარე გამარჯვებას ზეიმობდა. შესაძლოა, ფრიალ ბუნდოვანი სტეჟითა და არცთუ სანდო შუამავლების მონაწილეობის შედეგად, მაგრამ საბოლოოდ უკრაინას გაზი "გაზპრომის" მიერ ბოლოს მოთხოვნილ ფა-

სზე - 280 აშშ დოლარზე ათას კუბურ მეტრში, გაცილებით იაფი - მხოლოდ 95 აშშ დოლარი დაუჯდება. "ინციდენტი ამონურულია," - განაცხადა იუმჩენკომ და აღარ დაუკონკრეტებია, რომ მხოლოდ ექვსი თვით -ჯერჯერობით შეთანხმება დროს ამ მონაკვეთზე მიღწეული.

თუმცა, როგორც მალე გაირკვა, დასაწყისში მოტანილი ფაზა გაცილებით უკეთესად გაგება გუშინდელ მოვლენას. სამშაბათს უკრაინის უმაღლესმა რადამ იური ეხანურის მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა. სხდომაზე მყოფი 405 დელეგატებიდან 250-მა მიიჩნია, რომ "გაზპრომთან" მთავრობის მიერ გაფორმებული შეთანხმება სანჯავის მინოდების შესახებ ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს.

ბაზრადება A3 ბაზრადება

პროექტი საარჩევნო კოდექსის დამრღვევთა წინააღმდეგ

ნანა ქადაგიშვილი

ამა წლის თებერვალში არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა", საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ერთობლივად შემუშავებულ პროექტს წარუდგენს პარლამენტის იურიდიული კომიტეტს. საარჩევნო კოდექსში ცვლილებები საარჩევნო სისტემის რეფორმის ორ ძირითად მიმართულებას ეხება.

ამომრჩეველთა სიის დახვეწა, საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციონალური მოწყობა და საარჩევნო პროცედურების გამარტივება - ეს არის ის სამი ძირითადი მიმართულება, რის მიხედვითაც ჩვენი საარჩევნო სისტემის რეფორმა უნდა განხორციელდეს. ოქტომბერში საქართველოში ჩამოსულმა ევროპის საბჭოს ექსპერტმაც ბერნარდ ოუნენმა, შუალედურ არჩევნებზე დაკვირვების შედეგად, საქართველოს საარჩევნო სი-

სტემის სწორედ ამ სამ ძირითად ხარვეზზე გაამახვილა ყურადღება. "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა", ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან შეთანხმებით, აღნიშნული სამი მიმართულებიდან ორზე - სიების ფორმირებასა და საარჩევნო პროცედურების გამარტივებაზე მუშაობს.

ამომრჩეველთა სიების ფორმირების ორი მეთოდიდან (არსებული სიების ხელახალი ამომრჩეველთა ხელახალი რეგისტრაცია), "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" პირველს აფკობინებს. არჩევნებამდე 40-45 დღით ადრე, სიაში (რომელსაც ეცეს ოუსტიციის სამინისტროს გადასცემს) შეყვანილ ყველა ამომრჩეველს პირადი ბარათები დაურიგდება. ამის პარალელურად დაინყება საინფორმაციო კამპანია, რათა ამომრჩეველმა, რომელიც აღნიშნულ ბარათს ვერ მიიღებს, საარჩევნო უბანში თავი აღიდგინოს.

ბაზრადება A3 ბაზრადება

პროფესია სცენოგრაფი

საუბარი გოგი ალაქსი-მესხიშვილთან

თეატრის უნივერსალური ფენომენი ხელოვნებათა სინთეზისა და თეატრალური მოქმედების ენაზე მათი "თარგმნის" საშუალებას იძლევა. სცენის პირობითი სივრცე ყველაფერს იტევს - ლიტერატურას, პოეზიას, მუსიკას, ფერწერას, არქიტექტურას, სკულპტურას, კინოს, ტელევიზიასაც კი... თანამედროვე თეატრის სადადგმო ესთეტიკაში სანახაობით მხარეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სპექტაკლის სახიერებას, აქტივობას ერთად, მხატვარი-სცენოგრაფი აგებს, ის ქმნის იმ სცენიურ სამყაროს, რომელშიც წარმოდგენის "ვიტრუალური" მოქმედება ვითარდება. რეჟისურისა და, ზოგადად, ხელოვნების მხატვრული ენის თანდათანობითი გართულება თეატრის მხატვარს მუდამ ახალი ამოცანების წინაშე აყენებს. მან, არისტოტელეს განსაზღვრებით თუ ვიტყვი, რეჟისორის "საფიქრალს" შესატყვისი ხატი უნდა მოუხახოს,



ბაზრადება B1 ბაზრადება

არაკოლიტიკური ინვესტირები

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ყაზახეთის დედაქალაქს პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის ინიაციის მიხედვით მისალმნა. გუშინვე სააკაშვილი და ნაზარბაევის პირისპირ შეხვედრა შედგა.

შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე მიხეილ სააკაშვილმა ყაზახეთს "დიდი ინვესტირები" უწოდა. მან აღნიშნა, რომ თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია "თბილგაზის" შესყიდვას სწორედ ყაზახური კომპანია აპირებს. "ჩვენ ვიღებთ სტრატეგიულ ინვესტირებს ჩვენი ძალიან მგრძობიარე სფეროში," - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

"ჩვენ მიზანმიმართულად ვეშაობთ, რათა უზრუნველყოთ საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. საქართველო არის რთულ ვითარებაში, იმიტომ, რომ ენერგეტიკულ ბაზარზე გავლენას სერიოზული პოლიტიკური პრობლემები ახდენს," - განაცხადა სააკაშვილმა. "სამწუხაროდ, რუსეთთან ჩვენ ვერ შევძელით მთლიანობაში საკითხე-

ბის მოგვარება. ისევე, როგორც ვერ შეძლო რეგიონის ბევრმა სხვა ქვეყანამ," - აღნიშნა პრეზიდენტმა. თუმცა, მისი თქმით, ენერგეტიკული სფეროში საქართველოს ძალიან კარგი თანამშრომლობა აქვს აზერბაიჯანთან და ყაზახეთთან. "ეს არის არა მხოლოდ ენერგომატარებლების მონოდება, არამედ ენერგოქსელეების კონტროლი, დახვეწა, ენერჯის უფრო ეკონომიური მოხმარება. ამაში ყაზახეთს დიდი გამოცდილება აქვს," - განმარტა სააკაშვილმა. მისი თქმით, ყაზახეთი "არის ინვესტირების, რომელსაც აქვს ზუსტი ეკონომიკური მიზნები და ნაკლებად არის დამოკიდებული პოლიტიკურ რყევებზე და კაპრიზებზე."

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ყაზახი ინვესტირები აჭარის საკურორტო ინფრასტრუქტურით და ახალი ობიექტების მშენებლობით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი.

ყაზახეთის პრეზიდენტის ინიაციის ცერემონია დღეს გამართება.

24 საათი

არის თუ არა ეფექტური „ტამი-ფლუ“

როგორც ცნობილია, საქართველოში ქათმის გრიპის გავრცელების საშიშროების პარალელურად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ შემოსული პრეპარატი "ტამი-ფლუ" აღნიშნულ ვირუსთან საბრძოლველად უნიკალური საშუალებაა. გაზეთი "24 საათი" შეეცადა, აღნიშნული პრეპარატის ეფექტურობა დაედგინა.

ნათია მსხილაძე

მოსახლეობაში გავრცელებული ინფორმაციის იმის შესახებ, რომ შეყვანილი ნარკოტიკების მექანიზმი "ტამი-ფლუ" ფრინველის გრიპით დაავადებული ადამიანის განკურნების ერთადერთი საშუალებაა, ჯანდაცვის სამინისტრო არ ადასტურებს. სამინისტროს ინფორმაციით, ვირუსით დაავადების შემთხვევაში "ტამი-ფლუ" დაავადების სიმძიმეს ამსუბუქებს, მაგრამ არ განკურნავს.

აგრეთვე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ "ტამი-ფლუ" ბავშვებსა და მოხუცებზე უფასოდ გაიცემოდა. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ნინო მოროქიანის თქმით, პრეპარატის უფასოდ გაცემა ბავშვებსა და მოხუცებზე მხოლოდ პანდემიის შემთხვევაში მოხდება. "ტამი-ფლუს ანარკოტიკული ფარმაცევტიკული ფორმა "როში", რომელთანაც გაფორმებული გეგმის ხელშეკრულება 100 ათასი სამკურნალო დოზაზე, 50 ათასი სამკურნალო დოზას ამ წლის ოქტომბრის ბოლოს მივლივით, ხოლო დანარჩენი 50 ათასი - 2007 წლის მარტში," - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ. მისივე თქმით, სახელმწიფოს აღნიშნული 100 ათასი სამკურნალო დოზის შეძენა 700 ათასი ევრო დაუჯდება.

როგორც "24 საათთან" საუბრისას ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს უფროსმა დავით მესხიშვილმა აღნიშნა, პრეპარატი "ტამი-ფლუ" შესაძლებლობებში ფრინველის გრიპის ვირუსის დამარცხება არ იგულისხმება. "პრეპარატი ტამი-ფლუ არ ფრინველის გრიპის სამკურნალოდ გამოიყენება და არც აღნიშნული დაავადების პრევენციისთვის. არავის ჰქონდეს ილუზია, თითქოს ეს ნაშალი ვერ დასნებოვნებისგან დაიცავს. "ტამი-ფლუ" გრიპის მიმდინარეობას მხოლოდ და მხოლოდ ამარტყევს," - აცხადებს მესხიშვილი.

ფარმაცევტულ ქსელში შეყვანილი ნარკოტიკების პრეპარატი "ტამი-ფლუს" 5000 სამკურნალო დოზა იქნება, რომლის ნახევარი თებერვლის ბოლოს შემოვა, ხოლო მეორე ნახევარი - მარტის ბოლოს. "ტამი-ფლუს" ღირებულება 22,5 ევრო იქნება და მისი შეძენა, წამლის სააგენტოს ხელმძღვანელის ნინო ტურქელაძის განცხადებით, რეცეპტის გარეშე არ მოხდება.

საბარეო უცხოის „ნაადრევი“ განცხადება

გიორგი ასანიშვილი

ქვეყნის საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ 9 იანვარს განცხადებით მიმართა კონკრეტული ფაქტები: განიზიარებს (გაერო, ეუთო, ევროსაბჭო) და აფხაზეთის კონფლიქტის მონესროგების პროცესში მონაწილე ქვეყნებს, რათა მათ გაიღონ რაიონში ბოლო დროს განვიტარებულ მოვლენებზე სათანადო რეაგირება მოახდინონ.

"გალის რაიონის ქართულ სოფლებში აფხაზური ბანდიტური დაჯგუფებების მოქმედებებმა სისტემატური ხასიათი მიიღო, რაც ნათლად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ სეპარატისტული ხელისუფლება ვერ ან არ აკონტროლებს ვითარებას რეგიონში," - სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების უძღურებზე (ან შეგნებულ

უმოქმედობაზე) ხაზგასმით არის მიზნებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

მიმართვაში მოყვანილია ყაჩაღობის კონკრეტული ფაქტები: 2006 წლის 6 იანვარს, გალის რაიონის სოფლებში - თავილონში, გუდავასა და ლეკუხონში - უცხო ნობი ბანდიტური დაჯგუფების ექვსკაციანი რაზმის მიერ, გაძარცვის მიზნით, ადგილობრივ სამარტულ ევტოუსებზე რამდენიმე ყაჩაღური თავდასხმა განხორციელდა. ამასთან, თავილონში განხორციელებული თავდასხმისას, ბანდიტებმა გაიტაცეს ავტომანქანის მძღოლი, ადგილობრივი მკვიდრი მალხაზ ოკუაჯავა და მის დასაბრუნებლად ოჯახისაგან 50 ათასი ლარი მოითხოვეს...

ბაზრადება A3 ბაზრადება

საახალწლო ანაბანდი

წლიური

11,75%

დელანტი / ევრო



+ სარეზერვად



- ✿ საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- ✿ საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბანკათის მეშვეობით;
- ✿ მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბანდზე დასარიცხვ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- ✿ მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბანკო ანგარიშზე.

BR ბანკი რესპუბლიკა 29 45 99

ცენტრალური ფილიალი
თბილისი, ვრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

დედოქარის ფილიალი
თბილისი, ალ.ჯაბუგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაჭმადის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი: (995 32) 590660

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზგ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08

ბათუმის ფილიალი
ბათუმი, ქუთაისის ქ. 6
ტელ: (8 222) 32810, 32811; ფაქსი: (8 222) 32812



დავით კოვზირიძის სკატი

რეალური შოუ - ტელევიზორი უფახურთოდ

წლებულს პირველი არასასიამოვნო ამბავი ის გავიგე, რომ ფეხბურთზე შეყვარებულ ქართველობას, ეს კი თითქმის მთელი საქართველოა, ამერიკიდან მხოლოდ ინგლისის ჩემპიონატის ყურების საშუალება ექნება. დანარჩენ სიამტკბობებს კი უნდა დავემშვიდობოთ.

ეს რომ მითხრეს, თავზარი დამეცა, მაგრამ ახალი წლის თუხთუხი გახლდათ გახურებული და ასე თუ ისე, გადავავორე. ახლა კი, რაც დრო გადის და რაც უფრო შორს რჩება ხახაში ბოლოკაჩრილი გოჭები, ბაჟე-საცივების ოკეანე, გოზინაყის მდებარეობა და საახალწლო ეიფორია, მით უფრო მწარედ მენატრება დაკრეჭილი რონალდინიო, მისი მეგობრები და საერთოდ, ესპანური სოკერი.

დაიბნა აღფრეოდ დი სტეფანომ, რომელიც მშობლიური "რეალის" სისაძაგლემ სიკვდილის პირას მიიყვანა, ცოტა ხნის წინ ინტერვიუში თქვა, რა კარგია, ხალხნი, რომ რონალდინიოს მოვესწარი და თვეში რამდენჯერმე სიამოვნებისგან ვკრუსუნებო. ასე ვკრუსუნებდით ჩვენც, მაგრამ პრემიერადივიზიონი შუა გზაზე გაგვიბრუნდა და ახლა თავისუფლად შეგვიძლია ზღუქუნზე გადასვლა.

გასაოცარი ლოგიკაა - როგორც უკვე ვთქვით, ფეხბურთი მზიური საქართველოს დაახლოებით 95 პროცენტს უყვარს (თუმცა უმრავლესობას კარგად არ ესმის). ამ 95 პროცენტის 95 პროცენტი აღტაცებულია "პარსელონასა" და რონალდინიოს არამძვეყნიური შემოქმედებით და 2005 წელს სულმოუთქმელად ელოდა მათ სპექტაკლებს. აქედან გამომდინარე, როცა ეთერში იყო ესპანეთის ჩემპიონატის პირდაპირი ტრანსლაცია, ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა სწორედ ამ ფეხბურთს უყურებდა. მარტივად რომ დავასრულოთ ეს აბზაცი, პრიმერადივიზიონი ყველაზე რეიტინგული რამ გახლდათ.

ჰოდა, სასწაულია, ახა რა ჯანდაბაა, როცა ეთერიდან ქრება ყველაზე რეიტინგული რეპორტაჟი. ასეთი ამბავი მხოლოდ აქ თუ მოხდება, ხახაში ბოლოკაჩრილი გოჭების მხარეში.

ნაცნობმა მითხრა, მერე რა, ინგლისი ხო დავგვრჩაო. ესეც კიდევ ერთი პარადოქსი - ინგლისიც რომ გათიშონ, მერე, ალბათ, მეტყვის: რა მოხდა, სამაგიეროდ "აბზანი 3" იქნებაო.

საერთოდ, მე ჩემი შეხედულება მაქვს ინგლისურ ფეხბურთზე. ის შეიძლება ბევრს არ მოეწონოს, მაგალითად, ირაკლი ბერიძეს, მაგრამ რა ვქნა - პრემიერლიგა ძალიან ჰგავს ამერიკულ ფილმებს, სადაც ზანგი და თეთრი პოლიციელი დიდი წვლებით და დამაბულბობით ამარცხებენ ბორტებს. სულაც არაა აუცილებელი, რომ ამ ფილმებს და, შესაბამისად, პრემიერლიგის მატჩებს, ყურადღებით უყურო - შეგიძლია პარალელურად აკეთო ის, რაც გაგიხარდება.

მე კი არ მიყვარს ფეხბურთი, რომლის ყურებისასაც სხვა თემებზე ფიქრობ.

არსებობს გამოსავალი? წლებულს კიდევ ჰო, მსოფლიოს ჩემპიონატი გველოდება, მაგრამ მერე რა ვქნათ? ძალიან ძნელია ფეხბურთის განვითარებაზე, საფეხბურთო გემოვნების დახვეწაზე ლაპარაკი მაშინ, როცა ხდება ის, რაც ხდება - ჯერ "ნეტ ფუტბოლი" მოგვისპეს, მერე კი იტალიისა და ესპანეთის პირველობები. სულაც არ გამიკვირდება, რომ მალე ლათინი ინგლისური ჭახაჭუხიც ისტორიას ჩაბარდეს.

მერე თავისუფლად შეგვეძლება რუსულ-ლათინურ სერილებზე და ეროვნულ რეალურ შოუებზე გადავრთვა. გემოვნება? გემოვნება რაში გვეჭირდება, მთავარია გოჭს ბლოკი ჰქონდეს პირში გარჭობილი!

ქართული ფეხბურთისთვის 2006 წელი მეტად სასიამოვნოდ დაიწყო, ნაკრების თავკაცად კლაუსი დაინიშნა, ტოპმოლერი. კაცი, რომელმაც საქმით დაუმტკიცა ყველას, რომ ძალიან მაგარი ქოუჩია. კაცი, რომლის მთავარი პლუსი არის ის, რომ ყველა გუნდი, რომელშიც მუშაობდა, თავად აამენა - საქართველოს ეროვნულ გუნდს კი სწორედ კარგი ინჟინერ-მშენებელი ესაჭიროება და არა პასპორტით უცხოელი უცოდინარი. კაცი, რომელზეც მისი ყველა შეგირდი ერთხმად ამბობს, რომ ბრწყინვალე მწვრთნელის გარდა, ის, უბრალოდ, კარგი ადამიანია. დაბოლოს, კაცი, რომელსაც უყვარს ის, რაც ჩვენ - შეტევა.

სხვისი არ ვიცი და მე მჯერა, რომ ტოპმოლერთან ერთად ჩვენი ნაკრები უზარმაზარ ნაბიჯებს გადადგამს წინ. მის ხელშია მასალა, რომლისგანაც თავისუფლად შეიძლება ნორმალური ევროპული დონის ნაკრების შექმნა და, სხვათა შორის, ასეთი კარგი მასალით ბევრი ვერ დაიკვირნის.

ახლა მთავარია, ამ მშენებლობის პროცესს ყველამ ხელი შევეწყობოთ რითაც შეგვიძლია, რადგან საეჭვოა, ქართული ფეხბურთის აყვავების ასეთი მანძი ბევრჯერ მოგვეცეს. უნდა მოხდეს რადიკალური ცვლილებები. ამაში არ ვგულისხმობ სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნას და სხვა პროფესიულ დეტალებს - უამისოდ არაფერი გამოვა და ეს აუცილებლად გამოსწორდება. ლაპარაკია გულშემატკივრების, ჟურნალისტების დამოკიდებულებაზე ქართული ფეხბურთის მიმართ. მოდით, დავივიწყოთ ყველაფერი ცუდი, ჩვენი ფეხბურთი შევიყვაროთ ისე, როგორც წლების წინ ვიყვარდა, სტადიონზე ერთად ვიგუგუნოთ, სტადიონი დღესასწაულის ადგილად გაქცეოთ, ვიყოთ სამართლიანები და ცოტაც მოვიტიმინოთ.

მივიწყებულ სიხარულამდე ძალიან ცოტაა დარჩენილი. მომავალ სამშაბათამდე

დაკარის მსხვერპლთა რიცხვი გაიზარდა

გიბა ბარსაშვილი

აფრიკის ქვიშაში, სახიფათო ულტრატეხილებზე, დამშრალი მდინარის უბებში, რომლებსა და ვარდნილობებში მიმდინარე უპრეტენტულებმა სუბერმარტონულმა რალიმ "დაკარი-2006" ტრადიციას არ უღალატა და შავი კონტინენტის ზეგანზე მოჯირითე ერთ-ერთი მოტომობილი იმსხვერპლა. ორშაბათს "დაკარი-2006"-ის მეცხრე ეტაპის 250-ე კილომეტრის სპეციალურ მონაკვეთზე, რომელიც ნუკაშოტსა და კიფას შორისაა გადებული (ეს მონაკვეთი 874 კილომეტრისგან შედგება, აქედან 599 კილომეტრი სპეციალური მონაკვეთებია.-რედ.) აფრიკის შედეგად დაიღუპა KTM-ის გუნდის 41 წლის ავსტრალიელი მოტომობილი ენდო კალდეკოტი.



კალდეკოტისთვის "დაკარი 2006" საბედისწერო გამოდგა.

ლიელი მოტომობილის სიკვდილი დაადასტურეს. შემდგომმა ექსპერტიზამ კი აჩვენა, რომ კალდეკოტი ადგილზევე გარდაცვლილა. საგულისხმოა "ფრანს პრესის" ცნობა, რომლის მიხედვით ავსტრალიელ მოტომობილს "დაკარი

2006"-ზე არ უნდა ესაბარება, მაგრამ ბოლოს მოხდა ისე, რომ ავსტრალიელმა შეცვალა ესპანელი ხორდი დიურანი, რომელმაც რალი-რეიდამდე ტრავმა მიიღო. სხვათა შორის, კალდეკოტმა მოვიანებით აღიარა, რომ მართონული რალისთვის მზად არ იყო.

ერთადერთი, რის გამოც გადაწყვიტა მასში მონაწილეობა, ისაა, რომ ერთი ეტაპის მოგება სურდა. მიმდინარე რალის მესამე ეტაპს სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა. შარშან ავსტრალიელმა მოტომობილმა საერთო ჩათვლა მე-

ექვე შედეგით დაასრულა, წლებულს კი ამავე ჩათვლით მათე ადგილზე იმყოფებოდა...

"დაკარი" რომ არავისთვის არ არის იოლი გასეირნება, ამაში არავითვლად დავრწმუნებულვართ. ამის დასტურია ისიც, რომ კალდეკოტი რალი-რეიდის 28-წლიან ისტორიაში 23-ე მსხვერპლია. შარშან დაკარის რალიმ ერთობადა ორი მონაწილეობი - ესპანელი ხოსე მანუელ პერესი და იტალიელი ფაბრიციო მერონი იმსხვერპლა.

რაც შეეხება თავად ყველაზე დამღვლილ და მოულოდნელობებით აღსავსე რალს, მას 31 დეკემბერს ლისაბონში მწვანე შუქი აუწვთს. "დაკარი 2006" 15 ეტაპისგან შედგება და 9043 კილომეტრზეა გადაჭიმული. აქედან 4813 კილომეტრი ჩქაროსნულ მონაკვეთებს მოიცავს. ასპარეზობა, რომელიც 15 იანვარს სენეგალის დედაქალაქ დაკარში დამთავრდება, იმითაცა მნიშვნელოვანი, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა რალის მონაწილეებს ისედაც რთული სარბოლო პირობები კიდევ უფრო გაუთუღეს. საქმე ისაა, რომ მრბოლებს GPS სანავიგაციო სისტემის გამოყენებაზე შეკავშირებულ დაუწყეს. სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა. შარშან ავსტრალიელმა მოტომობილმა საერთო ჩათვლა მე-

მძლეოსნობა

ევროპელი კალ-ვაჟი

2004 წელს რუსული მძლეოსნობის სიმბოლოდ შერაცხულ, მსოფლიოსა და ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, ერთი სიტყვით, რუს ჭოკით მბტომელ ელენა ისინბაევას, რომელიც შარშან მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნად დასახელდა, ახლახან ასეთივე უღებდა ევროპაშიც მიანიჭეს. ზებური კონტინენტის საუკეთესო ვაჟი მძლეოსნის წოდება კი ლიტველ ბადროს მტყორცნულს, ათენის ოლიმპიური ჩემპიონს, ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულს ვირგილიუს ალენკას დარჩა (ალენკა ათენის ოლიმპიური თამაშებზე თავდაპირველად "ეგრესიული" დააჯილდოვეს, მაგრამ რადგან უნგრელი ჩემპიონი რობერტ ფაზეკასი მოვიანებით დოპინგზე გამოიჭირეს, ჩემპიონად სწორედ ლიტველი ბადროს მტყორცნული ცნეს.-რედ.). საგულისხმოა, რომ ორივე ევროპის საუკეთესო მძლეოსნებად პირველად დასახელდეს.



ელენა ისინბაევა და ვირგილიუს ალენკა ევროპაში საუკეთესოებად სცნეს.



და მაინც, რა დამსახურება მიუძღვით ისინბაევასა და ალენკას ევროპელთა შორის? შთაბეჭდილებების შესაქმნელად მათ მიღწევებს გადავხედოთ და მერე მათ პირველობაში შეუძლებელი შეძლო და მსოფლიო ალაპარაკა. სუსტი სქესის

ნარმომადგენელთაგან გახდა პირველი ჭოკით მბტომელი, რომელიც 5,01 მეტრზე გადავლულ თამაშის შედეგად მხოლოდ ბრიტანელი კოლმს ჩამორჩა, შარშან ბაში ეჭვიც არ შეგვეპარება. მამ ასე, ჯერ ქალს დავლით პატივი...

ნარმომადგენელთაგან გახდა პირველი ჭოკით მბტომელი, რომელიც 5,01 მეტრზე გადავლულ თამაშის შედეგად მხოლოდ ბრიტანელი კოლმს ჩამორჩა, შარშან ბაში ეჭვიც არ შეგვეპარება. მამ ასე, ჯერ ქალს დავლით პატივი...

მსოფლიო ჩემპიონატზე გახდნენ. ორ ასეთი რანგის ასპარეზობაზე 70-მეტრიანი ზღვარი გადაულახავი იყო. სხვა შეჯიბრებებზე კი შარშან შეიღ ათეულ მეტრზე ბადრო ხუთჯერ ტყორცნა. რაც შეეხება იაფ-ის საერთო ჩათვლას, ამ მხრივ ვირგილიუს ალენკამ რეიტინგი მეოთხე საფეხურით დაასრულა.

დევდებდა მისთვის რიგით მეცხრე იყო. გარდა ამისა, მანამდე გაზაფხულზე, ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატში ჭერქვეშავე მსოფლიოს რეკორდით - 4,90 მეტრი. ნელინა კი იაფ-ის (მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაცია) ქალთა საერთო ჩათვლის რეიტინგში მონიანეე პოზიციაზე დასრულა და წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა.

ახლა კი ვაჟ სპორტსმენზე, რომელიც იმითაა ყურადღების ღირსი, რომ 2005 წელს 20 საერთაშორისო ასპარეზობაზე მხოლოდ ერთხელ იწვინა მარცხი. ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლო ნრემი ბადრო 70,17 მეტრზე ტყორცნა. მანძილი იმითაა საარაკო, რომ ასეთი რანგის ასპარეზობაზე 70-მეტრიანი ზღვარი გადაულახავი იყო. სხვა შეჯიბრებებზე კი შარშან შეიღ ათეულ მეტრზე ბადრო ხუთჯერ ტყორცნა. რაც შეეხება იაფ-ის საერთო ჩათვლას, ამ მხრივ ვირგილიუს ალენკამ რეიტინგი მეოთხე საფეხურით დაასრულა.

გამოკითხვა ევროპის მძლეოსნობის ასოციაციამ (ეაა) ინტერნეტით საუკეთესო ვებ-გვერდის შემუშავებთან ჩაატარა. მასში მონაწილეობდნენ ფედერაციათა წევრები, მედიის წარმომადგენლები და უბრალოდ გულშემატკივრები.

ძიადო

სტამბად ძიადოს ფაქიმდებლობა

საქართველოს ძიადოსტა ნაკრები ახალ სეზონს ძიადოს ფუძემდებლებთან შერკინებით და შემდგომ ერთობლივი ვარჯიშით იწყებს! დღეს ქართველი ძიადოსტები იაპონიის გზას გაუდგნენ. ამოავალი მზის ქვეყანაში საქართველოს ნაკრები ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში "ძიადო კანოს" ტურნირზე იასპარეზებენ. თუ ვინა ძიადო კანო, ორ სიტყვით ჩაბატონე: ძიადოს მამა! იაპონიის ნაკრები? მსოფლიოს უძლიერეს გუნდი. ამ მხრივ თუ ვინმე ჩამოუვარდება იაპონელებს, საქართველოს ნაკრები. ასე რომ, ტურნირის მასპინძლებს არავითარ ლამაზი ორთაბრძოლით დატკობის საშუალება აქვთ. ჩვენ კი იმედი ვიქონიით, რომ საქართველოს ნაკრები მასპინძლებთან რამდენიმე შეხვედრას მოიგებს.

...ქართულ სპორტში სპონსორთა ინსტიტუტი რომ მოიკოჭლებს, ძველი ამბავია. აქედან გამომდინარე, ძალზე იშვიათია, რომ სპონსორი რომელიმე საჭიდაო სახეობით დინტერესდეს. ერთი სიტყვით, დღის შემდეგ საქართველოს ძიადოს ფედერაციას სამშენებლო კომპანია "ცენტრ პოინტი" დაფინანსებს.

გუმინ საქართველოს ძიადოს ფედერაციასა და "ცენტრ პოინტს" შორის ერთნაირი თანამშრომლობის მოქმედება ხელი, რომლის მიხედვით მშენებლები ერთ-ერთ ყველაზე ნარმატებულ ფედერაციას ფინანსურად ამოუდგებიან მხარში.

ფედერაციის ხელმძღვანელთა თქმით, "ცენტრ პოინტი" გარკვეულწილად შეემშველება ფედერაციის მუშაობას.

პირველი ხელშეკრულება, როგორც აღვნიშნეთ, ერთნაირია, თუმცა, არ არის გამორიცხული, მომავალში თანამშრომლობა უფრო გაფართოვდეს.

შემოთავაზება უსწრებს დროს!

უპროცენტო 3 წლიანი განვადება

ქალაქის ნაბიჯი უბანში

ტელ.: 23 25 36
25 30 80
25 32 16
91 25 07

2005 წლის საუკეთესო ქართული დისკი

ჯგუფ "შინის" წინასაახალწლო კონცერტი

სამსონ ლეჟავა

ალბათ ბევრს ახსოვს მართლაც საერთაშორისო რანგისა და ტრადიციული მუსიკისადმი – სრულიად მოულოდნელი ფორმით, მკაფიოდ შემოქმედებითი და მოკიდებულების შემომტანი ჯგუფი "ადიო", უჩვეულოდ საინტერესო და არაორდინარული. მისი ძალზე ძლიერი მონაპოვრის სრულებით ბუნებრივ მემკვიდრედ იქცა ანსამბლი "შინ", რომლის წევრები ახლაც უპირატესად გერმანიაში მოღვაწეობენ, თუმცა დიდი გატაცებითა და მთელი გულისხმიერებითაც არიან ჩართულნი თანამედროვე ქართული მუსიკის ყველაზე ფასიელ მიღწევათა წარმოქმნაში პროცესებში.

ამ ცოტა ხნის წინ, 30 დეკემბერს, სამეფო უნიის თეატრში "შინმა" ჩაატარა მართლაც სახეიმი და დამსწრეთა მიერ წრფელი აღფრთოვანებით აღქმული კონცერტი. სპონსორინგი განახორციელა ფირმა "კაპაროლმა", ხოლო პროდიუსინგი – კომპანია "სტეპ რეკორდსმა", პოპულარული მუსიკოსების ვახტანგ ბაჟაშვილისა და არჩილ გულუდანიის ხელმძღვანელობით.

კონცერტმა შეიძინა სერიოზული მასშტაბურობა და მასში სწორედ "შინის" ინიციატივითა და წარმმართველი როლით თავი იჩინა ე.წ. "ხალხური" და საზოგადოდ ჩვენი ტრადიციული ინსტრუმენტული თუ სასიმღერო შემოქმედების სულ სხვადასხვა რიგის, ან უკვე პროფესიულ განსტობათა თაემორა-კონცერტრაციამ: ერთიან ნაკადში მოიყარა თავი ჩინებული ვოკალური ფოლკლორული გუნდის "კიდო ბანი" (ხელმძღვანელი მამუკა ჭიჭინაძე, მომღერალი მამუკა ბაკურაძე) წარმომადგენელთა; იმავე ანსამბლის უმაღლესი დონის ინსტრუმენტალისტთა (ხეიჩა ლეთისაშვილი, ალექო ხიზანიშვილი); და ძალზე არტისტული მოცეკვავის დავით სხირტლაძის შემოქმედებითა შესაძლებლობებმა, თანაც იმ დროს, როცა კონცერტის რიტმში ზედმიწევნით ორგანულად ჩაერთო ამკარად საუკეთესოთაგანი კიდულუკ ზვიად თოთიაური, ხოლო კიდევ სხვაგვარად გამამდიდრებელი ელფერი მთელ გამოსვლას შესძინა ჩვენებური ქალაქური პანგის კოლორი-



ტულად წარმომჩენმა ციური მჭე-დლიძემ. რაც შეეხება "სანოს" ანუ ძველ "ადიოლ" მერაბ სანოძეს, მან გააათქვამა კონცერტის ხალი-სიანობა თავისი ტემპერამენტია-ნი, არაიშვიათად – უეცარი რიტ-მებით.

არსებითად აქ განხორციელდა ძალიან მნიშვნელოვანი სინთეზი ევროპულ პერფექტულობასა და მეტად მომცველ ინფორმაციას სრულფასოვნად ნაზარები "შინისა" და საქართველოში მოღვაწე შთამბეჭდავი, თვალსაჩინო ძალე-ბისა. ენერგიით გაჯერებულ მთელ ამ ნაკადში თავისებური ლოკომოტივის როლს ასრულებდ-ნენ ვირტუოზი ინსტრუმენტალი-სტი, სრულიად ახლებურად აღქ-მული "ქართული გიტარის" ქუმბა-რტი მესაბეჭდებელ ზაზა მიმინოშ-

ვილი; ობიექტურად უძლიერესი ბასისტი, დიდი იუმორითა და კვი-მატობით გამორჩეული ზურაბ გა-გნიძე; მეტად ნიჭიერი ვოკალისტი და პერკუსიონისტი მამუკა ლაღა-ნი, არაიშვიათად – უეცარი რიტ-მებით).

გადამწყვეტი აქ ისაა, რომ სამ-შობლოდან დროებით შორს მყოფი ეს არაჩვეულებრივი ჯგუფი მთე-რე მთელს მთავრად იღვწის სიღრმი-სეულად ქართული, "არქეტიპუ-ლი" პარმონიების ჩასაწვდომად და XXI საუკუნის ენაზე ამ უზარმაზა-რი ინფორმაციის სისახებით ასაყ-ლერებლად. სასიხარულო და მრავ-ლოკომოტივის როლს ასრულებდ-ნენ ვირტუოზი ინსტრუმენტალი-სტი, სრულიად ახლებურად აღქ-მული "ქართული გიტარის" ქუმბა-რტი მესაბეჭდებელ ზაზა მიმინოშ-

ვილი; ობიექტურად უძლიერესი ბასისტი, დიდი იუმორითა და კვი-მატობით გამორჩეული ზურაბ გა-გნიძე; მეტად ნიჭიერი ვოკალისტი და პერკუსიონისტი მამუკა ლაღა-ნი, არაიშვიათად – უეცარი რიტ-მებით).

გადამწყვეტი აქ ისაა, რომ სამ-შობლოდან დროებით შორს მყოფი ეს არაჩვეულებრივი ჯგუფი მთე-რე მთელს მთავრად იღვწის სიღრმი-სეულად ქართული, "არქეტიპუ-ლი" პარმონიების ჩასაწვდომად და XXI საუკუნის ენაზე ამ უზარმაზა-რი ინფორმაციის სისახებით ასაყ-ლერებლად. სასიხარულო და მრავ-ლოკომოტივის როლს ასრულებდ-ნენ ვირტუოზი ინსტრუმენტალი-სტი, სრულიად ახლებურად აღქ-მული "ქართული გიტარის" ქუმბა-რტი მესაბეჭდებელ ზაზა მიმინოშ-

ცხადია, ხაზგასასმელია ჯგუფი "გეორგიკას" როლი დავით შინი-ის ხელმძღვანელობით.

მაინც რა განსაკუთრებული ღირსება აქვს ამ გამოცემას? ვფი-ქრობ, ყველაზე არსებითი მასში კონცეპტუალური მთლიანობაა. ნუ გაიკვირვებთ: თავის დროზე, სახელმძღვანელო "ბითლზის" "სე-რჟანტ პეპერის" ერთგვარად მსგა-ვსად (რომელიც არსებითად პოს-ტმოდერნის წინასწარუწყვეტ იყო და, პარადოქსულად, სინთეზური-ბის მალაღი ნიმუშიც), ყოველი ცა-ლკეული ქმნილება აქ ღრმად ერ-თიანი მუსიკალური "გემბალტის", მისი საზიარო ქსოვილის აუცილე-ბელი შემადგენელია. მთელი შინა-განი მოქნილობისა, ჩანანერს გა-მოარჩევს იშვიათი ერთიანობა, ერთგვარად თვით მონუმენტური ხედავც კი, რაც მრავლისმეტყვე-ლია და არსებითიც...

30 დეკემბრის კონცერტის პროგრამას ეწოდა "ეგ არი". ზემო-აღნიშნული "ეგ არის" შედეგი, რო-გორც გაირკვა, მართლაც "კარგი რამ არის", ანუ ეს გახლავთ არა მხოლოდ კარგი, არამედ ძალიან კარგი, ძალზე ცოცხალი, არსობ-რივად ქართული პანგი – პანგი სა-ზღვრების გარეშე და თანადროუ-ლად ჩვენი კულტურის ამოუცნობი ფესვებიდან, შორეული სივრცე-ებიდან მომდინარე, დღევანდელი ბისთვის სულიერად აქტუალური მუსიკაც, რომელიც ჯგუფის ძა-ლიან სწორი ორიენტაციებით, "იბე-რულ-კავკასიურადაა" სახელდე-ბული.

მეტეიც ითქმის: ვიმედოვნებ, რომ ჩვენ გახვდით ახალი ტრადი-ციის დასაბამის მონუმენტი, სადაც სიკოსთან, გამოჩენილი რეი კაინს-კისთან ერთად ჩაატარა გამოსვლა ჯაზის იმგვარი გრანდის მონანი-ლეობით, როგორცაა რენდი ბრე-კერი. გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ ასეთი ღირსეული და შემოქ-მედებითი თანამშრომლობა, უაღ-რესად პრესტიჟულიცა და მრავა-ლმხრივ საგულისხმოც, ჩვენი ვერ აღმოჩნდა სათანადოდ აღქმუ-ლი და გააზრებული.

დაბოლოს: ორიოდ სიტყვა "შინის" ბოლო ალბომზე, რომელ-იც არა მხოლოდ 2005 წლის საუკე-თესო დისკად მიმანია. მასში ჩაე-რთინ – ჩვენი მეგობარი თურქე-თიდან, წარმოშობით ლაზი ფუატ-სავა და ბაქელი ილიას მირზაევი.

ლაზა და უელბეკი



ლაზა ბულაძე: ჩვენი დღევან-დელი დიალოგის თემა ახალი ლიტერატურული თარგმანები, კონკრეტულად, მიშელ უელბეკ-ზე და მის ნიგნზე "ელემენტარ-ულ ნაწილაკებზე" ვისაუბრებთ. ავტორზე, რომელიც ძალიან ცნობილი და პოპულარული გახ-ლავთ, თუმცა მისდამი არაერთ-გვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. ჩვენი სტუმრები არი-ან მთარგმნელი გიორგი ეიზაშ-ვილი და გამომცემელი ვაი დარ-სალია.

არსებობს აზრი, რომელშიც მე ეჭვი შემაქვს, და რომლის მი-ხედვითაც, რაც უფრო შორდება ორიგინალს, მით უფრო უახლო-ვდება ავტორს. რამდენად სწო-რია ეს აზრი და როდის და რატ-ომ გადაწყვიტეთ უელბეკის თა-რგმნა?

გიორგი ეიზაშვილი: არ არ-ის რეცეპტები. თუ არის რამე წე-სები, მათზე უარი უნდა ითქვას. არ შეიძლება თუნდაც ქართული გრამატიკის კატეგორიებით დაი-წყო თარგმანი. ძალიან ძნელია... მე არ ვიცი, სად არის დაშორება და საერთოდაც, სად არის სიახ-ლოვე. ერთია, რომ სამშავი პასუ-ხისმგებლობაა, როცა თარგმნი.

ლაზა ბულაძე: საერთოდ, რამდენად არ ერიდება გამო-ცემელს ასეთი ტექსტების გა-მოცემა?

გიორგი ეიზაშვილი: როცა მხოლოდ ენაა საკითხი, ეს არ არის კარგი, მაგრამ მწერლის ღირსება კიდევ სხვაგან უნდა ვე-ძებოთ და იგი ბევრად მეტია, ვი-დრე ენაა საკითხი ლიტერატურა... **ლაზა ბულაძე:** საერთოდ, რამდენად არ ერიდება გამო-ცემელს ასეთი ტექსტების გა-მოცემა?

გიორგი ეიზაშვილი: ეს ნამდვილ-ად შესამეხარისხოვანი საკი-თხია. ისე, ჩვენ კორექტორს ვთხოვეთ, რომ ყველა სიტყვა, რომელიც ყურში მოხვდება, მოეჩინა, რათა შემდეგ განგე-ხილა მათი არსებობა, ზემდგომი უტყირება რომ არ მომხდარიყო ამ სიტყვებზე. არაერთხელ გა-დავინდებთ ამ ტერმინოლოგიას და მგონია, რომ უხეშობა არ გაე-მოივსა და ეს იყო ალბერ კამიუ. სულ ამას ვამაყობ, რომ საკვირ-ო სივრცეში ეს იყო მისი პირვე-ლი თარგმანი, რადგანაც, მოგეხ-სენებათ, რომ ის აკრძალული იყო. ალექსანდრე დიუმას სახე-ლობის ფრანგული კულტურის ცენტრი ძალიან ბევრს აკეთებს ფრანგული ლიტერატურის პო-პულარიზაციისთვის და რვა მთა-რგმნელს გარკვეული პროექტ-შემოგვთავაზებს, ამაში შედიოდა უელბეკის თარგმნა, რომელიც მე ვიკისრე. რომ დავინერგე თარგმნა, მაშინვე მოვეყრდი მის ნიგნში,

მივხვდი, რომ "ჩემს ნიგნს" ვთა-რგმნიდი. ეს იყო ნიგნი, რომელ-იც მე მასხენებდა კამიუს. "ელე-მენტარულ ნაწილაკებში" არის მთელი მეოცე საუკუნის პანორა-მა. ეს არის ის სამყარო, რომელში-ც ჩვენ ვცხოვრობთ. ავტორი პრობლემას სვამს და დანარჩენ-ზე ჩვენ უნდა ვიფიქროთ. უელ-ბეკი, ისე როგორც ნებისმიერი მწერალი, გვეუბნება ახალს, იმა-ზე, რაც ჩვენ ვიცით, მაგრამ აქ მთავარია ამ ობიექტის სუბიექ-ტური ხედვა. ამ ავტორმა ესლა გამოსცა ბოლო ნიგნი და მხოლო-დ გამომცემის უფლების მისა-ღებად მას მილიონ სამასი ათასი მისცეს. საფრანგეთში ინერგო-ვდება სტატიები სათაურით - "უელ-ბეკი ბრუნდება, გვიშველეთ". ეს ნიშანდობლივი მოვლენებია.

ლაზა ბულაძე: რაღაც თვალ-საზრისით, ეს არის ენაბუნებრივი მწერალი. მას თან სდევს ეს აურა. ფაქტია, რომ სკანდალური მწერალია.

გიორგი ეიზაშვილი: როცა მხოლოდ ენაა საკითხი, ეს არ არის კარგი, მაგრამ მწერლის ღირსება კიდევ სხვაგან უნდა ვე-ძებოთ და იგი ბევრად მეტია, ვი-დრე ენაა საკითხი ლიტერატურა...

ლაზა ბულაძე: საერთოდ, რამდენად არ ერიდება გამო-ცემელს ასეთი ტექსტების გა-მოცემა?

გიორგი ეიზაშვილი: ეს ნამდვილ-ად შესამეხარისხოვანი საკი-თხია. ისე, ჩვენ კორექტორს ვთხოვეთ, რომ ყველა სიტყვა, რომელიც ყურში მოხვდება, მოეჩინა, რათა შემდეგ განგე-ხილა მათი არსებობა, ზემდგომი უტყირება რომ არ მომხდარიყო ამ სიტყვებზე. არაერთხელ გა-დავინდებთ ამ ტერმინოლოგიას და მგონია, რომ უხეშობა არ გაე-მოივსა და ეს იყო ალბერ კამიუ. სულ ამას ვამაყობ, რომ საკვირ-ო სივრცეში ეს იყო მისი პირვე-ლი თარგმანი, რადგანაც, მოგეხ-სენებათ, რომ ის აკრძალული იყო. ალექსანდრე დიუმას სახე-ლობის ფრანგული კულტურის ცენტრი ძალიან ბევრს აკეთებს ფრანგული ლიტერატურის პო-პულარიზაციისთვის და რვა მთა-რგმნელს გარკვეული პროექტ-შემოგვთავაზებს, ამაში შედიოდა უელბეკის თარგმნა, რომელიც მე ვიკისრე. რომ დავინერგე თარგმნა, მაშინვე მოვეყრდი მის ნიგნში,

Call Center

ჩვენი დახმარებით თქვენი ბიზნესი იქნება წარმატებული

Tel: (995 32) 24 45 98

www.ccg.ge

„ფორდის“ მომავალ სახეს „კინეტიკური დიზაინი“ ჰქვია

ფრანკფურტის ავტოსალონზე „ფორდის“ ევროპულმა დივიზიონმა წარადგინა თავისი ახალი კონცეპტუალური მოდელი – ოთხკარიანი კუპე, სახელად „ფორდ იოსის“. კონცეპტკარის ავტორთა განცხადებით, ამ ავტომობილის შექმნის მიზანი იყო იმ ახლებური სტილის ჩვენება, რომელსაც კომპანია თავისი ევროპული მოდელებისთვის აირჩევს ახლო მომავალში.

დიზაინის ახალ მიმდინარეობას „ფორდის“ სპეციალისტებმა „კინეტიკური დიზაინი“ უწოდეს. ამ მიმდინარეობის დიზაინის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ძარის სხვადასხვა ნაწილების გამომსახველი ფორმები, რომლებიც მთლიანობაში ერთგვარ „დაკუთხულ“, სპორტული ავტომობილის იერს ქმნიან. თავად დიზაინერები ამბობენ, რომ მათ სურდათ, თავიანთ ნამუშევარში ექვემდებარებინათ „ენერჯია მოძრაობაში“.

პროფილში ავტომობილი კუპე-ის მოგვაგონებს, მაგრამ მას ოთხი კარი აქვს, რომლებზეც არაა დატანებული სახელურები. ამასთან, სალონში სულ ოთხი საყარძელია. კუპესთან მსგავსებას აძლიერებს მკვეთრად დახრილი უკანა საყარძენი და უკანა კარების ვინორი შუბები. ავტომობილს არ აქვს შუა საყარძენი, რის გამოც, წინა და უკანა კარები სანაწილადეგო მიმართულებით იხსნება.

„ფორდის“ ავტომობილების ახალ დიზაინში განსაკუთრებით

თვალში საცემია მთავარი მამუქების ფორმის რადიკალური ცვლილება. შეცვლილია ასევე რადიატორის ჰაერის ამღების მოყვანილობა, რომელიც ამიერიდან ამობრუნებული ტრაპეციის ფორმისა იქნება.

მთლიანობაში, „იოსისმა“ საკმაოდ აგრესიული გარეგნობა მიიღო, რასაც ხაზს უსვამს ბორბლების განიერი თაღები და წინა ბამპერში ამოკვეთილი დიდი ზომის ჰაერამღებები, რომლებიც დანაცვალდა გრილბედი ჰაერი წინა სამურწყე სისტემისკენ მიედინება. რადიატორიცა და მუხრუჭების ჰაერამღებებიც ალუმინითაა მოარშობული.

სპორტული სტილითა შესრულებული კონცეპტუალური ავტომობილის ინტერიერიც აქ თვალში საცემია ცენტრალური, სატრანსმისი „გვირაბი“, რომლის წყალობითაც იზრდება ძარის სიხისტე. საჭის რგოლს აქვს ორიგინალური, სპორტული სტილის მოყვანილობა, გადაცემათა კოლოფის ბერკეტი კი პირდაპირაა გადმოტანა, წილი რაღის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე „ფორდ ფოკუს WRC“-დან.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. დიზაინის ახალი სტრატეგია ისეა შემუშავებული, რომ ავტომობილის შექმნისას შესაძლებელია სხვა მოდელების რიგი კვანძების გამოყენება. მაგალითად, „იოსისმა“ გამოყენებულია „ფორდის“ მიერ შექმნილი ავტოსალონზე ნაჩვენები კონცეპტკარ „SAV კონცეპტის“ ბევრი ელემენტი. სხვათა შორის, „იოსის“ სწორედ „SAV კონცეპტის“ განვითარებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სანამ კონცეპტებიც მიიღწევა, დიზაინის ახალი მიმდინარეობა კიდევ დაიხვეწება.

დაბოლოს, ფრანკფურტში ნაჩვენები კონცეპტკარის სახელი ალუმინითაა ნასესხები. თურმე სიტყვა „იოსის“ საწყისი მეტალიდან ოქროს მიღების იდუმალი პროცესის ბოლო სტადიას აღნიშნავს.



ფორდ იოსისი.

რდის“ მიერ შექმნილი ავტოსალონზე ნაჩვენები კონცეპტკარ „SAV კონცეპტის“ ბევრი ელემენტი. სხვათა შორის, „იოსის“ სწორედ „SAV კონცეპტის“ განვითარებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სანამ კონცეპტებიც მიიღწევა, დიზაინის ახალი მიმდინარეობა კიდევ დაიხვეწება.

დაბოლოს, ფრანკფურტში ნაჩვენები კონცეპტკარის სახელი ალუმინითაა ნასესხები. თურმე სიტყვა „იოსის“ საწყისი მეტალიდან ოქროს მიღების იდუმალი პროცესის ბოლო სტადიას აღნიშნავს.

„გალაქიკური“ მინივენ

„ცისფერი ოვალის“ დიზაინის მიმდინარეობა პირველად მინივენ „გალაქსიში“ (გალაქტიკა) არჩევს ნევიტანი ცხერი და ძლიერ დახრილი საქარე მინა, რომელიც თითქმის სწორხაზოვნად გადადხანს ელვად და რომლის დებოუტიც ასევე ფრანკფურტში შედგა. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი „გალაქსი“ შენევაში ნაჩვენები კონცეპტუალურ მინივენ „ფორდ SAV-ის“ სანარმო ვარიანტია.

შეიდადილიანი მინივენი ბაზირებულია ახალ პლატფორმაზე, რომელიც სპეციალურად შეიქმნა



ფორდ გალაქსი.

მომდევნო თაობის „მინივენის“ (დებოუტი 2007 წელს შედგება). ავტომობილს გარეგნულად გამოარჩევს ნევიტანი ცხერი და ძლიერ დახრილი საქარე მინა, რომელიც თითქმის სწორხაზოვნად გადადხანს ელვად და რომლის დებოუტიც ასევე ფრანკფურტში შედგა. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი „გალაქსი“ შენევაში ნაჩვენები კონცეპტუალურ მინივენ „ფორდ SAV-ის“ სანარმო ვარიანტია.

შეიდადილიანი მინივენი ბაზირებულია ახალ პლატფორმაზე, რომელიც სპეციალურად შეიქმნა

ბაკცმა ავტომობილის გარეგნობის მიხედვით იფიქროს. ამ მთაბეჭდილებას ქმნის „გალაქსის“ ფართე მემინილობა და სახურავერ დახრილი საქარე მინა, რომელიც თითქმის სწორხაზოვნად გადადხანს ელვად და რომლის დებოუტიც ასევე ფრანკფურტში შედგა. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი „გალაქსი“ შენევაში ნაჩვენები კონცეპტუალურ მინივენ „ფორდ SAV-ის“ სანარმო ვარიანტია.

შეიდადილიანი მინივენი ბაზირებულია ახალ პლატფორმაზე, რომელიც სპეციალურად შეიქმნა

პირველ ხანებში ავტომობილი აღიჭურვება სამი ძრავით. მათგან ერთი ბენზინისაა (2-ლიტრიანი, 145 ცხ.ძალით), ორი კი დიზელისა (1,8-ლიტრიანი, 120 ცხ. ძალით და 2-ლიტრიანი, 143 ცხ.ძალით). მათგან 1,8-ლიტრიანთან შეწყვილებულია მხოლოდ მექანიკური, დანარჩენებთან კი, როგორც მექანიკური, ისე ავტომატური გადაცემათა კოლოფიც.

მძღოლისა და მგზავრების პასიურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტული ბალიშები. მძღოლის მხარეს მოთავსებულია დამატებითი ბალიშები, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოდის მოქმედებაში, თუ ავტომობილს მოსახვევები მოძრაობისას მოსდის ავარია. გარდა ამისა, მეორე და მესამე რიგის მგზავრებს იცავს დამცავი გასაბერი ფარდებიც.

„ფორდის“ ევროპული შტოს დიზაინ-ცენტრში შექმნილი ახალი „გალაქსის“ რეკლამირებისთვის კომპანიის მარკეტოლოგებმა მოიფიქრეს ლაკონური სლოგანი (ლექსიონი) – „მოგზაურობა პირველი კლასით“. ამ სამი სიტყვით პრაქტიკულად ყველაფერია ნათქვამი.

ამ უხალხო ავტომობილის შენევაში უფრო დახვეწილია მინიფორმათა გაყიდვების დაწყებამდე (სავარაუდოდ 2006 წლის დსანწყისში) ცოტა ხნით ადრე გახდება ცნობილი. მაშინვე გამოცხადდება მისი ფასიც.

კუპე „იაგუარ XK“ - ალუმინის მტაცებელი ნახტომისთვის მზადაა

იაგუარმა თავისი პოპულარული კუპე XK-ს გაყიდვები ჯერ კიდევ ცხრა წლის წინ დაიწყო, წელს კი, დეტროიტის ავტოსალონზე, ამ ავტომობილის მეორე თაობის მოდელის კონცეპტუალური ვარიანტი შექნა საზოგადოებას. მაშინვე გამოცხადდა, რომ ფრანკფურტის ავტოსალონის დამთავლიერებული ამ ავტომობილის წინასწორულ ვარიანტსაც იხილავდა, დილერები კი სიახლეს 2006 წლის დსანწყისშივე მიიღებდნენ.

ეს ავტომობილი დეტროიტშივე შეადარეს „ასტონ მარტინს“. შეიძლება ეს მეორისთვის კომპლემენტური იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა კომპანია ცდილობს ინდივიდუალობის შენარჩუნებას და ასეთი შედარება არასასურველია. და მაინც, იაგუარულმა დიზაინი თითქმის ხელუხლებელი დატოვეს და ფრანკფურტშიც თითქმის იგივე მოდელი წარადგინეს, რაც დეტროიტში.

როიტში. უბრალოდ, ამჯერად ავტომობილი ლურჯის ნაცვლად ვერცხლისფრად შეღებეს.

ახალ XK-ს ახასიათებს გრძელი კაპოტი, მკვეთრად დახრილი წინა და უკანა საქარე მინები, გამოკვეთილი საბორბლე თაღები მათში მოთავსებული უზარმაზარი, დაბალპროფილიანი ბორბლებით, ასევე მოკლე კუდი. ეს ის თვისებებია, როგორებიცაა „ასტონ მარტინის“ მოდელები გამოირჩევა. ამიერიდან, ეს ფორმები „იაგუარის“ დამახასიათებელიც ხდება – როგორც ამბობენ, XK-ს სტილის კომპანიის დიზაინერები მომავალშიც გამოიყენებენ.

